საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

საინფორმაციო ფურცელი

მსოფლიოში კონკურენციის უწყებების მიერ განხორციელებული აქტივობები

ივნისი, 2024

1

ნიდერლანდების მომხმარებლისა და ბაზრების უწყება

უწყებამ დააჯარიმა ონლაინ მაღაზიები ცრუ ფასდაკლებების გამოყენების გამო

ნიდერლანდების მომხმარებელთა და ბაზრების უწყებამ (ACM) დააჯარიმა ხუთი ონლაინ მაღაზია ცრუ ფასდაკლებების გამოყენებისთვის, ჯარიმის ოდენობამ შეადგინა 621 000 ევრო. მომხმარებლებს აჩვენეს ყალბი ფასდაკლება. რეალურად ფასდაკლება უფრო დაბალი იყო ან საერთოდ არ იყო შეთავაზებული. შედეგად, მომხმარებლები შეცდომაში შეიყვანეს.

2023 წლის 1 იანვრიდან უწყება ახორციელებს გამკაცრებულ ზომებს **„იყო/ახლა“** ფასებთან დაკავშირებით. ძირითადი პრინციპია, რომ ფასდაკლების მიცემა შესაძლებელია მხოლოდ ყველაზე დაბალ ფასზე, რაც პროდუქტს ქონდა ამ ფასდაკლებამდე 30 დღის განმავლობაში.

„ფასი პროდუქტის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელია, რომელზედაც მომხმარებლები აყალიბებენ შეძენის გადაწყვეტილებას. ყალბი ფასდაკლებები აიძულებს მომხმარებლებს იფიქრონ, რომ საინტერესო გარიგებას იღებენ, მიუხედავად იმისა, რომ ეს სინამდვილეში ასე არ არის. მომხმარებელი დაცული უნდა იყოს ამ პრაქტიკისგან. ჯარიმები, რომლებიც დღეს დავაწესეთ, არის მნიშვნელოვანი სიგნალი იმისა, რომ ეს უნდა შეწყდეს.

უწყებამ ხუთი ონლაინ მაღაზია დააჯარიმა:

ჰოლანდიური ონლაინ მაღაზია **Day Trayders-ს (www.koopjedeal.nl)** - 163,000 ევრო

Leen Bakker-ს (www.leenbakker.nl) - 130 000 ევროს

ეს კომპანიები არ აღიარებენ ამ დარღვევას. მათ ჯერ კიდევ აქვთ ამ ჯარიმების წინააღმდეგ სამართლებრივი ზომების მიღების შესაძლებლობა.

გარდა ამისა, ACM-მა კიდევ სამი კომპანია დააჯარიმა. ამ კომპანიებმა აღიარეს დარღვევები.

მოდის საცალო ვაჭრობის კომპანია **G-star-ს (www.g-star.com)** - 110 000 ევრო

დანიური ავეჯის საცალო ვაჭრობის ქსელს **JYSK (www.jysk.nl)** - 112 500 ევრო

Tommy-ს. Hilfiger (nl.tommy.com) - 105 500 ევრო

ზოგიერთ შემთხვევაში, ფასდაკლება საერთოდ არ იყო და ფასი ფაქტობრივად გაიზარდა.

ერთმა კომპანიამ შესთავაზა პროდუქტი, რომლის ღირებულება იყო 699 ევრო და ახლა 629 ევრო, ხოლო ამ ფასდაკლებამდე ოცდაათი დღის განმავლობაში პროდუქტის ფასი იყო 539 ევრო. მომხმარებელი ხედავს ფასდაკლებას, რეალურად კი პროდუქტი გაძვირდა. ამიტომ ეს არის ცრუ ფასდაკლება.

კიდევ ერთმა კომპანიამ წარმოადგინა ცრუ ფასდაკლება პროდუქციის „იყო“ ფასის ხელოვნურად გაზრდით. პროდუქტი, რომელის ღირებულება იყო 149,99 ევრო, მომხმარებლებს შესთავაზეს 99,99 ევროდ. ფასი 199,99 ევრო არასოდეს ყოფილა გამოყენებული როგორც გასაყიდი ფასი შესწავლილ პერიოდში.

მნიშვნელოვანია, რომ მომხმარებელს შეუძლია დაეყრდნოს ფასის შესახებ ინფორმაციას, რომელსაც ისინი ხვდებიან. კომპანიები გულახდილი უნდა იყვნენ ფასებისა და ფასდაკლებების შესახებ.

წყარო:

1

საფრანგეთის კონკურენციის უწყება

კარტელი

საფრანგეთის კონკურენციის უწყებამ, ბეტონის პროდუქტების სექტორში, კარტელში მონაწილე კომპანიები დააჯარიმა. ჯარიმის ოდენობამ შეადგინა 76 645 000 ევრო.

კომპანიები KP1, Rector და SEAC დაჯარიმდა კარტელის შექმნისთვის, რომელიც მიზნად ისახავდა სამშენებლო კომპანიების მიერ გამოცხადებულ ტენდერებში სამუშაო ადგილის მოცულობის გაზიარებას კონკურენციის დამახინჯების გზით. KP1, Rector, SEAC, Strudal, A2C, FB, L'Industrielle du béton (IB), Saint-Léonard Matériaux (SLM) და Soprel ასევე დაჯარიმდნენ ამ ეროვნული სტრატეგიის განხორციელებისთვის რამდენიმე რეგიონში. KP1 და Rector კარტელის შექმნისთვის, რომელიც ეხება საბითუმო მოვაჭრეებისა და საცხოვრებელი სახლების მშენებლებისთვის მოქმედი ფასების ზრდის მაჩვენებლებს. KP1, Eurobéton France და Strudal სენსიტიური ინფორმაციის გაზიარებისთვის კონკრეტული პროექტების ტენდერთან დაკავშირებით. KP1 და Société de préfabrication de Landaul (SPL) ფასებისა და მომხმარებელთა განაწილების შესახებ ორმხრივი შეთანხმების განხორციელებისთვის.



Autorité-მ დამატებით 75,000 ევროს ოდენობის ჯარიმა დააკისრა Eurobéton France-ს გამოძიების დაბრკოლებისთვის, რადგან კომპანიამ არასწორი ინფორმაცია მიაწოდა უწყებას.

აღნიშნული პრაქტიკა ჩატარებული კრიმინალური ჩხრეკის შედეგად გამოიკვეთა.

დაჯარიმებული კომპანიები:

KP1 €19,040,000

Strudal €3,910,000

A2C €6,390,000

FB €550,000

IB €3,110,000

Rector €25,450,000

SEAC €10,990,000

SLM €2,840,000

Soprel €150,000

Eurobéton France €3,445,000

SPL €770,000

ჯამში: €76,645,000

წყარო:

1

ევროკომისია

VINTED აუმჯობესებს ფასების შესახებ ინფორმაციას და გამჭვირვალობას მომხმარებლებისთვის

ევროკომისიასთან და წევრი ქვეყნების მომხმარებელთა ეროვნულ უწყებებთან დიალოგის შემდეგ, Vinted-მა, საქონლის მეორადი გაყიდვის ონლაინ ბაზარმა, გააუმჯობესა ფასების შესახებ ინფორმაცია, რათა მათი პრაქტიკა უფრო შეესაბამებოდეს ევროკავშირის სამომხმარებლო კანონმდებლობას. პლატფორმა უფრო ნათლად წარმოაჩენს თითოეული შეკვეთის მთლიან ფასს და უფრო ნათლად განმარტავს, თუ როგორ შეუძლიათ მომხმარებლებს მოითხოვონ ფული უკან დაბრუნება, თუ შეკვეთები არ მიიღეს. Vinted არის ონლაინ პლატფორმა მეორადი ნივთების გაყიდვისა და ყიდვისთვის, როგორიცაა ტანსაცმელი და საყოფაცხოვრებო ნივთები, ქსოვილები, ჭურჭელი, სახლის დეკორაციის აქსესუარები.

ევროკომისიამ და უწყებებმა მიიღეს მრავალი საჩივარი Vinted-ის წინააღმდეგ, მათ შორის შეკვეთის დროს, შესყიდვის საფასურის ავტომატური დამატების თაობაზე მომხმარებლების წინასწარ ინფორმირების გარეშე. პლატფორმამ უკვე შეცვალა ვებსაიტი

და მობილური აპლიკაცია, რათა უკეთ აცნობოს მომხმარებლებს შემოთავაზებული საქონლის მთლიანი ფასი, ე.წ. „მყიდველების დაცვის საფასურის“ ჩათვლით, რომელიც ავტომატურად ემატება ყოველ შენაძენს. პლატფორმას ასევე დაევალა შეცდომაში შემყვანი

რეკლამების წაშლა, რომელიც ქმნის შთაბეჭდილებას, რომ Vinted-ზე შესყიდვები უფასოა და მომხმარებელთა უფრო მკაფიო ინფორმირება პლატფორმის პოლიტიკასთან დაკავშირებით.

წყარო:

1

ესტონეთის კონკურენციის უწყება

ესტონეთის საწვავის ბაზარი ფუნქციონირებს, მაგრამ მას სჭირდება ეფექტური ზედამხედველობა და გამჭვირვალობა

კონკურენციის უწყების მიერ ჩატარებული საწვავის ბაზრის ანალიზმა აჩვენა, რომ ესტონეთის საწვავის ბაზარი ძირითადად ფუნქციონირებს, მაგრამ სტაბილური და სამართლიანი ფასების უზრუნველსაყოფად საჭიროა უფრო ეფექტური ზედამხედველობა და გამჭვირვალობა.

შეგროვებული მონაცემები აჩვენებს, რომ საწვავის საბითუმო ბაზარი დუოპოლიურია, ხოლო საცალო ბაზარი ოლიგოპოლიური.

ესტონეთის საწვავის ბაზარი მცირეა მოცულობის თვალსაზრისით, რაც ევროკავშირის მთლიანი საწვავის მოხმარების მხოლოდ ნაწილს შეადგენს. ბაზარი კონცენტრირებულია. ეს ძირითადად გამოწვეულია ბაზარზე შესვლის მაღალი ბარიერებით. ესტონეთში ძირითადად სამი სახის საწვავი იყიდება: ბენზინი 95, ბენზინი 98 და დიზელის საწვავი. ბენზინგასამართი სადგურების ქსელის სიმჭიდროვე ერთ-ერთი ყველაზე მაღალია ევროპაში, ხოლო ყველაზე მაღალი მოხმარების რეგიონები, როგორც მოსალოდნელი იყო, ჰარჯუ და ტარტუმაა. დადებითია, რომ საწვავის ბაზარს ძირითადად მართავენ კარგად კაპიტალიზებული კომპანიები, რომლებსაც შეუძლიათ უზრუნველყონ სტაბილური მიწოდება და დააკმაყოფილონ ბიოსაწვავის მოთხოვნები.

ესტონეთში საწვავის ფასი მჭიდროდ არის დაკავშირებული მსოფლიო ბაზრის ფასებთან და აქციზის განაკვეთებთან. ფასის მთავარი მაჩვენებელია S&P Global Platts-ის კოტირება, რომელიც ასევე განსაზღვრავს შესყიდვის ფასს.

ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით უწყებამ რეკომენდაციებიც გასცა. უწყება რეკომენდაციას უწევს რეალურ დროში ფასების გამჭვირვალობის გაზრდას, მაგალითად, ფასების შედარების დამოუკიდებელ პორტალს, რომელიც აჩვენებს ბენზინგასამართი სადგურების ფასებს რეალურ დროში. ასევე, უნდა დაინიშნოს კონკრეტული

დაწესებულება საჭირო კომპეტენციებითა და რესურსებით საწვავის ბაზრის ეროვნულ დონეზე მონიტორინგისთვის. ბაზრის მონიტორინგის გაძლიერება უზრუნველყოფდა სამართლიან კონკურენციას და თავიდან ავიცილებთ ფასების არაგონივრულ ზრდას.

წყარო:

1

ხორვატიის კონკურენციის სააგენტო

SPAR დაჯარიმდა უსამართლო სავაჭრო პრაქტიკისთვის

ზაგრების ადმინისტრაციულმა სასამართლომ დაადასტურა უწყების გადაწყვეტილება, რომლითაც SPAR Hrvatska doo დაჯარიმდა 1,300,000.00 ხორვატული კუნით უსამართლო სავაჭრო პრაქტიკის დაწესებისთვის საკვები პროდუქტის საბოლოო მომხმარებლისთვის გაყიდვის ფასზე დაბალ ფასად.

აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციული სასამართლოს გადაწყვეტილება ამ ადმინისტრაციულ დავაში ჯერ კიდევ არ არის საბოლოო, რადგან SPAR-მა გაასაჩივრა გადაწყვეტილება ხორვატიის რესპუბლიკის უმაღლეს ადმინისტრაციულ სასამართლოში.

წყარო:

1

დანიის მომხმარებლისა და კონკურენციის უწყება

კონკურენციის კანონის დარღვევისთის Kaufmann დაჯარიმდა 6 მილიონით

ტანსაცმლის საცალო მოვაჭრე Axel Kaufmann-მა აღიარა, რომ დაარღვია კონკურენციის აქტის აკრძალვა კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების წინააღმდეგ. კომპანია

იხდის ჯარიმას 6 მილიონ DKK, ხოლო ორი დაჯარიმებული ხელმძღვანელი პირი გადაიხდის 120,000 DKK ჯარიმას. საკითხი ეხება Hugo Boss-თან ინფორმაციის უკანონო გაცვლაში მონაწილეობის ფაქტს.

Hugo Boss და Kaufmann გაცვალეს ინფორმაცია 2014 წლის იანვრიდან 2017 წლის ნოემბრამდე.

წყარო:

1

იტალიის კონკურენციის უწყება

იტალიის კონკურენციის უწყებამ მედიკამენტებზე ფასი შეამცირა

საკითხი ეხება Leadiant-ის მიმართ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას. Leadiant Biosciences Ltd.-მ და Essetifin, Leadiant ჯგუფის წევრმა, დაუსაბუთებლად მაღალი ფასები დააკისრეს ჯანდაცვის ეროვნულ სისტემას ცერებროტენდინოზური ქსანთომატოზის სამკურნალოდ Leadiant ჩენოდეოქსიქოლის მჟავის გაყიდვისთვის.

მოკვლევის ფარგლებში დადგინდა, რომ Leadiant Biosciences-მა და Essetifin-მა ისარგებლეს მყიდველის სუსტი სავაჭრო პოზიციით, რათა მიეღოთ მაღალი ფასი წამალზე - 5,000-7,000 ევრო თითო პაკეტზე. ორმა ფარმაცევტულმა კომპანიამ დააკმაყოფილა უწყების მოთხოვნა, რამაც მნიშვნელოვანი დადებითი გავლენა მოახდინა NHS-ზე ფასების შემცირების თვალსაზრისით. ამ გზით, AIFA-თან შეთანხმებული წამლის ახალი ფასი, რომელიც ძალაშია 2024 წლის 15 მარტიდან, შეადგენს დაახლოებით 2,000-4,000 ევროს შეფუთვაზე.

წყარო:

2

იტალიის კონკურენციის უწყება

META

იტალიის კონკურენციის ორგანომ დააჯარიმა Meta Platforms Ireland Ltd. და Meta Platforms Inc. 3,5 მილიონი ევროთი ორი უსამართლო კომერციული პრაქტიკისთვის Facebook და Instagram სოციალური ქსელების ანგარიშების შექმნასა და მართვასთან დაკავშირებით. კერძოდ ინსტაგრამზე რეგისტრაციის პროცესში მომხმარებლებს არ მიეცათ მკაფიო ინფორმაცია მათი მონაცემების კომერციული მიზნებისთვის შეგროვებისა და გამოყენების შესახებ.

გარდა ამისა, Meta ზუსტად არ მართავდა Facebook-ისა და Instagram-ის მომხმარებლების ანგარიშების შეჩერებას, რაც არღვევდა სამომხმარებლო კოდექსის მე-20 მუხლის. კერძოდ, Meta არ უთითებს Facebook-ის ანგარიშების შეჩერების მიზეზს და არ აწვდის Facebook-ისა და Instagram-ის მომხმარებლებს ინფორმაცია მათი ანგარიშების შეჩერების სადავო შესაძლებლობის შესახებ და ბოლოს, მან დაუწესა

მოკლე ვადა (30 დღე) მომხმარებლებს, რათა გააპროტესტონ შეჩერება.

ეს ორი პრაქტიკა Meta პროცესის მსვლელობისას შეწყვიტა.

[წყარო:]

1

ესპანეთის ბაზრებისა და კონკურენციის ეროვნული კომისია

CNMC აფასებს ახალ ზომებს სათამაშო ფლატფორმებზე დეპოზიტების შეზღუდვის მიზნით

სამინისტრო შემოაქვს ნებაყოფლობითი სისტემა დეპოზიტების ლიმიტების თითო მოთამაშეზე და ვრცელდება ყველა ოპერატორზე.

CNMC მიიჩნევს, რომ ეს წესი არ შეიცავს კონკურენციის გაუმართლებელ შეზღუდვებს. თუმცა შეძლება გაზარდოს ბაზრის კონცენტრაცია, ამიტომ ის მუდმივად უნდა შეფასდეს.

ბაზრებისა და კონკურენციის ეროვნულმა კომისიამ (CNMC) გააანალიზა აზარტული თამაშების მარეგულირებელი სამეფო ბრძანებულების პროექტი, აზარტული თამაშების ლიცენზიებთან, ავტორიზაციასთან და რეესტრებთან დაკავშირებით, ერთ მოთამაშეზე ერთობლივი დეპოზიტის ლიმიტების სისტემის დანერგვის მიზნით (IPN/CNMC/006/24).

ახალი რეგულაცია მიზნად ისახავს გაამლიეროს მოთამაშეებზე კონტროლი თითო მოთამაშისთვის დეპოზიტების ლიმიტების ერთიანი და ერთობლივი სისტემის დანერგვით ყველა ოპერატორისთვის, რომლებთანაც მათ აქვთ სათამაშო ანგარიში.

წყარო:

1

ფინეთის მომხმარებლისა და კონკურენციის უწყება

მხოლოდ ლიცენზირების სისტემა ვერ გადაჭრის აზარტული თამაშების ბაზრის პრობლემას

FCCA-მ გამოაქვეყნა კვლევის ანგარიში, რომელიც შეისწავლის აზარტული თამაშების მარეგულირებელი რეფორმების გავლენას ნორდიულ ქვეყნებში.

ფინეთის ამჟამინდელი მონოპოლიაზე დაფუძნებული სათამაშო სისტემა არ მუშაობს ისე, როგორც ეს იყო დაგეგმილი. აზარტული თამაშების მნიშვნელოვანი ნაწილი ხდება ონლაინ თამაშებში სისტემის გარეთ. აზარტული თამაშებზე დამოკიდებული ადამიანები თამაშობენ თამაშებს სისტემის გარეთ. დამოკიდებული ადამიანების რიცხვი კი ბოლო წლებში გაიზარდა. ონლაინ აზარტული თამაშების გამო, აზარტული თამაშების რეგულირების წინა ზომები, როგორიცაა მონოპოლიები და მიწოდების შეზღუდვა, აღარ მუშაობს ისე, როგორც ადრე. ამჟამად ფინეთი ემზადება ონლაინ აზარტული თამაშების ლიცენზირების სისტემაზე გადასასვლელად.

სკანდინავიური გამოცდილება აჩვენებს, რომ მხოლოდ აზარტული თამაშების ლიცენზირების სისტემაზე გადასვლა არ იძლევა გარანტიას, რომ აზარტული თამაშების ზიანის შემცირების მიზნები მიიღწევა.

მაგრამ აზარტულ თამაშებზე დახარჯული თანხის შეზღუდვა შეიძლება იყოს ეფექტური გზა აზარტული თამაშებით გამოწვეული ზიანის შესამცირებლად.

წყარო:

გამოყენებული ინფორმაცია ეყრდნობა უწყებების/ორგანიზაციების ოფიციალურ საიტებზე არსებულ ინფორმაციებს.

გადამოწმდა ნიდერლანდების, საფრანგეთის, იტალიის, ხორვატიის, დანიის, ესტონეთის, ფინეთის და ესპანეთის კონკურენციის უწყებების ოფიციალური გვერდები. ასევე ევროკომისიის ვებგვერდი.

598 05 44 22

info@gcca.gov.ge

www.gcca.gov.ge

https://bit.ly/3nhBoYp

https://bit.ly/3rZdxvL

0102 ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზირი - 154.
ბიზნეს ცენტრი "მწვანე ოფისი"

მადლობა ყურადღებისათვის

საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო